თემის სოციალური მუშაობის განვითარება საქართველოს მუნიციპალიტეტებში

ეკა მურადაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან ასათიანი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი:

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკა მურადაშვილი

17/06/2024

აბსტრაქტი

თემის სოციალური მუშაობა საქართველოში განვითარების საწყის ეტაპზეა. თემის სოციალური მუშაკი მხოლოდ 5 მუნიციპალიტეტშია დასაქმებული, კერძოდ: ვანი; დუშეთი; ზესტაფონი; თერჯოლა; ზუგდიდი. წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია თემის სოციალური მუშაკების სამუშაო პრაქტიკისა და არსებული გამოწვევების შესწავლა.

წინამდებარე კვლევაში მონაწილეობა მიიღო როგორც აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში დასაქმებულმა ოთხმა სოციალურმა მუშაკმა, ასევე დარგის ორმა ექსპერტმა. კვლევაში გამოყენებული იქნა სიღრმისეული ინტერვიუები, მომზადდა დოკუმენტაციის ანალიზი.

ამასთან, წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიში, რომელიც ეხება სოციალური მუშაობის განვითარებას საქართველოს მუნიციპალიტეტებში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს აღნიშნული კვლევის შედეგების გაგრძელებას. ამასთან, ნაშრომში მიმოხილულია თემთან მუშაობის გზები და მისი განვითარების ეტაპები, არსებული სამართლებრივი ჩარჩო და დარგის ექსპერტების შეხედულებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში, დასაქმებული თემის სოციალური მუშაკების მუშაობის პრაქტიკა განსხვავდება მუნიციპალიტეტის მიხედვით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თემის სოციალური მუშაობა; სოციალური მუშაკი; კანონი სოციალური მუშაობის შესახებ; სოციალურ მუშაკთა ასოციაცია; დეცენტრალიზაცია; მუნიციპალიტეტი; თემი; თემის მობილიზაცია.

Abstract

Community social work in Georgia is at the initial stage of development and is applied only in 5 municipalities, namely:

Vani; Dusheti; Zestafoni; Terjola; Zugdidi. The main objective of this paper is to study the working practices and existing challenges of community social workers.

Four social workers employed in the mentioned municipalities and two experts in the field participated in the research. The research involved in-depth interviews and a documentary analysis.

This paper reviews the report of the research conducted by the Association of Social Workers of Georgia, which refers to the development of social work in the municipalities of Georgia and is a continuation of the results of the research mentioned above. In addition, the paper reviews the ways of working with the community and the stages of its development, the existing legal framework, and the views of experts in the field on the mentioned issue.

The results of the study indicate that in 5 municipalities of Georgia, the working practices of community social workers differ depending on the municipality.

Keywords: Community social work; Social worker; law on social work; Association of social workers; Decentralisation; Municipality; Community; Community mobilization.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ლექტორს, პროფესორს ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს, მთლიანი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გაწეული დახმარებისთვის.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო, ჩემი ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს ქალბატონ რუსუდან ასათიანს ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის.